



საგანმანათლებლო პროგრამა	გემის მექანიკა			
	Ship's Power Plants			
უმაღლესი განათლების საფეხური	I საფეხური (ბაკალავრიატი)	სწავლების ენა		ქართული
დარგობრივი სტანდარტები	უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“ (საქართველო)	International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010 (STCW-ის A-III/1; III/2 ცხრილები)		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში	Bachelor of Engineering (BEng) in Maritime Engineering	კვალიფიკაციის კოდი	0716
	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარშო: 0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor Vehicles, Ships and Aircraft (0716.1.2 - საზღვაო ინჟინერია / Marine Engineering)		ISCED-F-13	0716
პროფესია	გემის ინჟინერ-მექანიკოსი	Ship's Engineer	ISCO-08	3151
პროგრამის მოცულობა	240 ECTS. აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს 60 ECTS კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ზნსუ-ში 1 კრედიტი = 26 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა - 8 სემესტრი. წინამდებარე პროგრამით გათვალისწინებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების შედეგად.			
პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები: პროგრამის დამტკიცება (ოქმი №6, 04.11.2022)			
პროგრამის ხელმძღვანელი	ომარ ლომიძე, ასისტენტ-პროფესორი			
აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილება	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №191, 10.12.2013, №195, 07. 12. 2018 .			
დამატებითი ინფორმაცია	1. წინამდებარე პროგრამის დარგობრივი საფუძველებია: IMO-ს „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენცია 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watch-keeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010; STCW კოდექსი, A-III/1; III/2 ცხრილები); „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი; უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“; 2. საერთაშორისო დარგობრივ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის რესურსების შესაბამისობა (External Audit of BNTU by International Maritime Authority - Panama Maritime Authority (05.09.2016-07.09.2016), Honduras Maritime Authority (29.11.2016 - 01.12.2016; „Russian Register westgeorgia, LTD ” – ISO 9001:2008, ISO 9001:2015 certification (audit once a year); BNTU passes audit of Maritime Transport Agency of Georgia once a year)			

პროგრამაზე დაშვება	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). პირი, რომელსაც პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1 დონის ფლობა (წარმოადგინოს ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) ან გაიაროს შიდა გამოცდა (ტესტირება) ქართულ ენაში; დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისა და ტესტირებისაგან თავისუფლებიან პირები, რომლებსაც საქართველოში აქვთ მიღებული სრული ზოგადი განათლება ან აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ქართულენოვანი პროგრამის შესწავლის შედეგად. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). ასევე, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად პროგრამაზე დაშვების პირობას წარმოადგენს ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).
პროგრამის სტრუქტურა	პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, მის სტრუქტურაში (240 კრედიტის ფარგლებში) მოიაზრება თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე მიმართული კომპონენტი (სავალდებულო სასწავლო კურსები, პრაქტიკები და საბაკალავრო ნაშრომი და არჩევითი სასწავლო კურსები). პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტების (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, პრაქტიკების, სხვ.) შესწავლის თანმიმდევრობა უზრუნველყოფს ცოდნის გადამცემს პრინციპით „ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ“ და უკვე შეძენილი ცოდნისა და უნარების ეტაპობრივად განვითარებას.
პროგრამის აქტუალობა და შეთავაზების მიზეზი	მსოფლიო ეკონომიკაში საზღვაო დარგის მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია საზღვაო სფეროს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (International Marine Organization; შემდგომში - IMO) მიერ დაწესებული ნორმების, ეროვნული კანონმდებლობის და საგანმანათლებლო სტანდარტის გათვალისწინებით საზღვაო დარგის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის გემის ინჟინერ-მექანიკოსების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ „მეზღაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენციის 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010, შემდგომში - STCW კონვენცია) შესაბამისი რეგლამენტებით დადგენილი მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობის შესრულებას. წინამდებარე პროგრამის დარგობრივი საფუძველებია: IMO-ს „მეზღაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენცია 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010 (შემდგომში - STCW), „მეზღაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“.
პროგრამის მიზანი	მომზადდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი და STCW კონვენციის რეგლამენტებით დადგენილი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის (გემის ინჟინერ-მექანიკოსის) მომზადება, რომელსაც ექნება: 1) პროფესიული საკმიანობისთვის აუცილებელი STCW კონვენციის რეგლამენტების მოთხოვნათა შესაბამისი თეორიული ცოდნა და გემის ინჟინერ-მექანიკოსის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების პრაქტიკული უნარები, პროფესიისა და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკის გაგნობიერების, პრობლემის შეფასება-ანალიზის და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების, ოპერატიულად და დადგენილი სტანდარტების/წესების შესაბამისად მოქმედების უნარები, ასევე სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებაზე და გემზე მყოფ ადამიანებზე პასუხისმგებლობა; 2) დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ტექნიკური, ისე პროფესიული, სოციალური ანდა ეთიკური პრობლემების გამომწვევი მიზეზების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და შესაძლო რისკების იდენტიფიცირების, კომპლექსური, რთული/გათვალისწინებული პრობლემების შეფასება-ანალიზის, გადაჭრის სწორი გზის არჩევის და დასაბუთების, გუნდში მუშაობის, სწორი კომუნიკაციის და ქცევის მოდელის შერჩევის, სამუშაოს შესრულებისთვის შესაბამისი ტექნიკური/ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების შერჩევისა და გამოყენების უნარები; 3) პიროვნული და პროფესიული განვითარების მოტივაცია

და თვითგანვითარების უნარი; 4) საზღვაო სფეროს და მულტიკულტურული გუნდის ეთიკური თავისებურებების გაცნობიერების და დაცვის უნარი; 5) უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზების და კარიერულ წინსვლის შესაძლებლობა - გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე ეტაპობრივად საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემის მექანიკოსის მორიგი წოდების მოპოვებას და თანამდებობის დაკავებას გემის სავახტო მექანიკოსის დაწყებული გემის უფროსი მექანიკოსის ჩათვლით.

დაგეგმილი შედეგები:

- კურსდამთავრებულს აქვს სწავლისა და საქმიანობის (გემის ინჟინერ-მექანიკოსის) სფეროს ფართო ცოდნა, რომლის საფუძველზეც ახდენს კომპლექსური საკითხების განხილვას, განმარტებას, კრიტიკულ შეფასებას, ურთიერთდაკავშირებას, არსებულ/შექმნილ სიტუაციასთან/პრობლემასთან და შესასრულებელ სამუშაოსთან მისადაგებას. კერძოდ:
 - ვახტის მიღებასა და გადაცემასთან დაკავშირებული მოვალეობები. ვახტის გაწვევის დროს დასაცავი უსაფრთხოების ზომები და ხანძრის ან ავარიის, განსაკუთრებით საწვავ სისტემებთან დაკავშირებული ხანძრის შემთხვევაში მისაღები გადაუდებელი ღონისძიებები; რესურსების გამოყოფა, განაწილება და პრიორიტეტებად დაყოფა. ეფექტური კავშირი, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, გუნდური მუშაობის გამოცდილების გათვალისწინება, სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღება და გათვალისწინება;
 - ინგლისურ ენაზე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) და გემის მექანიკოსის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სტანდარტული სასაუბრო ფრაზები;
 - საკომუნიკაციო სისტემები, თავისებურებები და გამოყენების შესაძლებლობები და წესები.
 - მექანიკური სისტემების კონსტრუქციისა და მუშაობის ძირითადი პრინციპები და მათთან დაკავშირებული დამხმარე მოწყობილობების საპროექტო მახასიათებლები;
 - თერმოდინამიკა და თბოგადაცემა, მექანიკა და ჰიდრომექანიკა: დიზელის ძრავების, ორთქლისა და აირტურბინების ტექნიკური მახასიათებლები;
 - საწვავისა და საოხი მასალების ფიზიკური და ქიმიური თვისებები. მასალების ტექნოლოგია;
 - საზღვაო არქიტექტურა და გემის კონსტრუქცია, დაზიანების მართვის ჩათვლით. მთავარი ამძრავი მექანიზმისა და დამხმარე მოწყობილობების საოპერაციო შეზღუდვები. ამძრავი მექანიზმის ეფექტური ექსპლუატაცია, დაკვირვება, მუშაობის შეფასება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მთავარი ძრავის, დამხმარე მოწყობილობების ფუნქციები და ავტომატური მართვის მექანიზმი. ორთქლის საქვაბები; ზეთის და საწვავის საწმენდი; მაცივებელი სისტემა; ტუმბოების და მილსადენების სისტემები, საექსპლუატაციო მახასიათებლები, ტექნიკური მომსახურება; საჭის მართვის სისტემა; ტვირთამწევი მოწყობილობები და საგემზანე მექანიზმები;
 - ელექტრომოწყობილობები: გენერატორისა და გამანაწილებელი სისტემები; ელექტროძრავები, მათი ამუშავების მეთოდოლოგია; მაღალი ძაბვის დანადგარები; თანმიმდევრული რეგულირების წრედები და მათთან დაკავშირებული სისტემური მოწყობილობები; ელექტრონული წრედის საბაზო ელემენტების მახასიათებლები. ცალკეულ მექანიზმებთან დაკავშირებით მართვის სისტემების ფუნქციები, მახასიათებლები და თვისებები, მთავარი ამძრავი მექანიზმის მართვისა და ორთქლის საქვაბის ავტომატური მართვის საშუალებების ჩათვლით; მართვის სისტემები: ავტომატური მართვის სხვადასხვა მეთოდოლოგია და მახასიათებლები; საზღვაო ელექტროტექნიკა, ელექტრონული და ელექტრო მოწყობილობები, ავტომატური მართვის სისტემები და დამცავი მოწყობილობები, მათი საპროექტო მახასიათებლები და სისტემური კონფიგურაცია; ორთქლის საქვაბი. ელექტროძრავებისთვის ოპერატული მართვის აპარატურის საპროექტო მახასიათებლები და სისტემური კონფიგურაცია. მაღალი ძაბვის დანადგარების საპროექტო მახასიათებლები. ჰიდრავლიკური და პნევმატიკური მართვის მოწყობილობების მახასიათებლები;
 - ელექტროსისტემის მოწყობილობების, გამანაწილებელი დაგების, ელექტროძრავების, გენერატორისა და მუდმივი დენის ელექტრომოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება. ელექტრო გაუმართაობების გამოვლენა, გაუმართაობის ადგილის გამჟღავნება, დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებები. ელექტრო საკონტროლო-საზომი მოწყობილობების კონსტრუქცია და ექსპლუატაცია. ელექტრო და ელექტრონული მართვის მოწყობილობებთან დაკავშირებული გაუმართაობების აღმოფხვრა;
 - სისტემებისა და კომპონენტების დამზადებისა და შეკეთებისას გასათვალისწინებელი თვისებები და პარამეტრები. უსაფრთხო ავარიული/ დროებითი შეკეთების განხორციელების მეთოდები. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის და ხელსაწყოების, ჩარხებისა და საზომი ინსტრუმენტების გამოყენების მიზნით მისაღები უსაფრთხოების ღონისძიებები. სხვადასხვა საიზოლაციო მასალისა და შესაფუთი მასალის გამოყენება;
 - მექანიზმებისა და მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, როგორცაა მათი დემონტაჟი, შეკეთება და ხელახალი მონტაჟი. შესაბამისი სპეციალური ხელსაწყოებისა და საზომი ინსტრუმენტების გამოყენება. მოწყობილობების კონსტრუირებისათვის მასალების საპროექტო მახასიათებლები და მათი შერჩევა. მექანიზმებთან დაკავშირებული ნახაზებისა და ცნობარების წაკითხვა. მილსადენების, პნევმატური და ჰიდრავლიკური ამძრავების სქემების წაკითხვა; ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების უსაფრთხოდ და ეფექტურად განხორციელების მართვა. ტექნიკური მომსახურების დაგეგმვა, კანონით გათვალისწინებული შემოწმებებისა და გემის კლასის შემოწმებების ჩათვლით. შეკეთების დაგეგმვა; მექანიზმებთან დაკავშირებული გაუმართაობის გამოვლენა, ხარვეზების ლოკალიზაცია და დაზიანებების პრევენციის მიზნით მიღებული ზომები. მოწყობილობების შემოწმება და გამართვა. არადესტრუქციული შემოწმება;
 - საკანონმდებლო მოთხოვნები; საზღვაო გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით მისაღები სიფრთხილის ზომები. დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურები და აღნიშნულთან დაკავშირებული ყოველგვარი მოწყობილობა. საზღვაო გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებების მნიშვნელობა. საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში გათვალისწინებული საერთაშორისო საზღვაო სამართალი, ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ, გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენციისა და მასში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებები; საზღვაო სანიტარული დეკლარაციები და საერთაშორისო სანიტარული რეგულაციების მოთხოვნები; იმ საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომლებიც აისახება გემების, მგზავრების, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებაზე; გემებიდან საზღვაო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მეთოდები და საშუალებები; საერთაშო-

	რისო შეთანხმებების და კონვენციების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა; • ინფორმაციის მიღება გემის მდგრადობის და დატვირთვის განრიგების, დიაგრამების და კორპუსზე დატვირთვის გამოსათვლელი მოწყობილობების შესახებ; წყალგამტარობის საფუძვლები; დაუზიანებელ მდგომარეობაში ცურვის შესაძლებლობის ნაწილობრივ დაკარგვისას მისაღები ღონისძიებები. გემის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების და სხვადასხვა ნაწილების დასახელები; გემის დიფერენტზე და მდგრადობაზე გავლენა რომელიმე განყოფილების დაზიანებისა და მისი დაძირვის შემთხვევაში; გემის მდგარობასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეკომენდაციები; • ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკა. ხანძრის სახეობებისა და ქიმიური მახასიათებლები. ცეცხლსაქრობი სისტემა. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, საწვავის სისტემებში გაჩენილი ხანძრის ჩათვლით, მისაღები ზომები; • გემის დატოვების სწავლების ორგანიზების უნარი და კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და სამაშველო კატარღების, ასევე მათი გამშვები მოწყობილობებისა და საშუალებების, მათი აღჭურვილობის, მათ შორის სამაშველო საშუალებების რადიოდანადგარების, თანამგზავრული EPIRB-ის, ძებნა-შველის ტრანსპონდერების, ჰიდროკოსტუმების და თერმოდამცავი საშუალებების გამოყენება. სამაშველო საშუალებებთან დაკავშირებული რეგულაციები (ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია). ხანძართან ბრძოლა და გემის დატოვების ორგანიზება. სამაშველო საშუალებებისა და მოწყობილობების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების და უსაფრთხოების სხვა სისტემების საექსპლუატაციო მდგომარეობის უზრუნველყოფა. ავარიის შემთხვევაში, გემბანზე მყოფი პირების დასაცავად განსახორციელებელი ღონისძიებები. ხანძრის, აფეთქების, შეჯახების ან მეჩქრზე შეჯდომის შედეგად გემის დაზიანების მინიმუმამდე დაყვანის და გადარჩენის უზრუნველყოფის ღონისძიებები. გემის კონსტრუქცია ზიანის კონტროლის ჩათვლით. ხანძრის პრევენციის, გამოვლენის და ჩაქრობის მეთოდები და საშუალებები. სამაშველო საშუალებების ფუნქციები და გამოყენება. • სამედიცინო სახელმძღვანელოების გამოყენება და რადიოს საშუალებით გადაცემული სამედიცინო კონსულტაციები, უბედურ შემთხვევებში ან გემის პირობებისთვის დამახასიათებელი დაავადებებისას ეფექტური ზომების მიღება; • ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებისა და საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) კონვენციები; შესაბამისი საერთაშორისო საზღვაო კონვენციები და რეკომენდაციები, ასევე ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები - ამოცანებისა და სამუშაო დატვირთვის მართვის მეთოდები, მათ შორის: დაგეგმვა და კოორდინირება; შესაბამისი პერსონალის დანიშნვა; დროის და რესურსების უკმარისობა; პრიორიტეტების განსაზღვრა. რესურსების ეფექტურად მართვის მეთოდები, გემსა და ნაპირზე ეფექტური კავშირის დამყარება; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ორგანიზაციული კულტურის ფორმირების, ინტერპერსონალური კომუნიკაციისთვის მეთოდები, გუნდური მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება; დამაჯერებლობა, ლიდერობა, მოტივაცია, სიტუაციის შესახებ ინფორმირების მიღწევა და უზრუნველყოფა. გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და მათი მიღების შესაძლებლობა: სიტუაციებისა და რისკების შეფასება; დამუშავებული ვარიანტების განსაზღვრა და განხილვა; მოქმედების მიმართულების შერჩევა; შედეგების ეფექტურობის შეფასება. სტანდარტული საექსპლუატაციო პროცედურების შემუშავება, სისრულეში მოყვანა და კონტროლი.
2.	კურსდამთავრებული ფლობს პრაქტიკულ უნარებს და ასრულებს შესაბამის პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ირჩევს კომპლექსური, რთული/გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის სწორ გზას, იღებს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებაზე, მის დაქვემდებარებაში და გემზე მყოფ ადამიანებზე, მოქმედებს ოპერატიულად დადგენილი სტანდარტების/ წესების შესაბამისად. კერძოდ: • სამანქანე განყოფილებაში სწორად ავსებს და აწარმოებს დოკუმენტაციას, იყენებს ცეცხლსაქრობი და ავარიული მოწყობილობების სისტემებსა და დამცავ მექანიზმებს; ყველა სისტემა დისტანციური მართვიდან ადგილობრივზე გადაყავს; • ამყარებს ეფექტიან კავშირს, ირჩევს ინდივიდუალურ ქცევას, მუშაობს გუნდურად, ითვალისწინებს ორგანიზაციული კულტურის ფორმირებასა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსურ საკითხებს, ავლენს ლიდერულ და მენეჯერულ უნარებს; • იყენებს გემის მექანიკოსის მოვალეობებთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან ტექნიკურ პუბლიკაციებს; სწორად აღიქვამს ინფორმაციასა და შეტყობინებებს გემის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით; მოვალეობების შესრულებისას ახორციელებს წერით და ზეპირ კომუნიკაციას სტანდარტული საზღვაო სასაუბრო ფრაზების გამოყენებით; • იყენებს შიდა საკომუნიკაციო სისტემებს; • ახდენს გემის დამხმარე მექანიზმების ეფექტურ ექსპლოატაციას, საზღვრავს და აყალიბებს ტექნიკური მომსახურების სპეციფიკას, ავლენს და აღმოფხვრავს გაუმართაობებს, ასრულებს ექსპლუატაციასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს; ახდენს ორთქლის ქვაბების და მათი სისტემების, ორთქლის და გაზის ტურბინების ეფექტიან ექსპლოატაციას, საზღვრავს და აყალიბებს მომსახურებას, ავლენს გაუმართაობებს და განსაზღვრავს მათი აღმოფხვრის გზებს, ახდენს გემის შიგაწვის ძრავების მუშა პარამეტრებისა და მექანიზმების საერთო მდგომარეობის კონტროლს, ავლენს გაუმართაობებს და განსაზღვრავს მათი აღმოფხვრის გზებს; ახდენს გემის სამაცივრო დანადგარების და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ეფექტიან ექსპლოატაციას, თბურ მანქანებში მიმდინარე თერმოდინამიკური პროცესების ოპტიმალურ მართვას; რაციონალურად იყენებს სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს; ახდენს გემბანის მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციას (გაშვება, მომსახურება და გაჩერება); ამზადებს, ამუშავებს დიზელის გენერატორს, ახდენს პარალელურად დაკავშირებას, ერთიდან მეორე გენერატორზე გადასვლას; იცავს მაღალი ძაბვის უსაფრთხო ექსპლოატაციის ნორმებს. • ახდენს ელექტრომოწყობილობების და ელექტრონული აპარატურის ეფექტიან ექსპლუატაციას; ადგენს და აღმოფხვრავს გაუმართაობებს; ახდენს გემის ენერგეტიკული დანადგარების სისტემაში არსებული დანადგარებისა და ხელსაწყოების, ჰიდრავლიკური და პნევმატიკური სისტემების, ელექტრომოწყობილობებისა და მათი სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციასა და მართვას. კითხულობს და იყენებს სქემებს, იყენებს გამზომ და საკონტროლ საზომ ინსტრუმენტებს; • მექანიზმების და სისტემების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დროს სათანადოდ ამუშავებს და იყენებს საჭირო თვისებების მქონე ლითონებსა და სხვა მასალებს; აფასებს და აანალიზებს მოსალოდნელ რისკებს, იცავს ტექნიკური მომსახურების და რემონტის შესრულების საერთო მოთხოვნების უსაფრთხოების წესებს, ავლენს მექანიზმების დეფექტებს, ახდენს რემონტის დაგეგმარებას, ადგენს სარემონტო დოკუმენტაციას, ახდენს რემონტზე ზედამხედველობას; გეგმავს სარემონტო სამუშაოებს საერთაშორისო

	მოთხოვნების გათვალისწინებით; - რელევანტურად აფასებს და ავლენს გემზე არსებული მექანიზმების და მათი სისტემების გაუმართაობებს/უწყისიერობას, ადგენს მიზეზებსა და გაუმართაობის აღმოფხვრის გზებს; უსაფრთხო მუშაობასთან და გარემოსთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით ატარებს სამუშაოს; - ძირითადი საერთაშორისო კონვენციებისა და ნაციონალური ნორმატიული დოკუმენტების, პირადი უსაფრთხოების და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის წესების, უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსი ISM Code-ის, გარემოს დაცვის სისტემების და მოწყობილობების საერთაშორისო ნორმები MARPOL-ის თანახმად ითვალისწინებს საზღვაო გარემოს დაზიანებულების პრევენციას და დაზიანებულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურებს; - გემის კონსტრუქციის და მდგარობის ძირითადი პრინციპების გამოყენებით საზღვრავს, ინარჩუნებს და აკონტროლებს გემის მდგარდობას; - არჩევს ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის აღმოფხვრის რელევანტურ გზებს; კატეგორიზაციას უკეთებს ხანძარს და იყენებს შესაბამის ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობას; - იყენებს გემზე ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამაშველო საშუალებებს; ორგანიზებას უკეთებს გემზე პირველად სამედიცინო დახმარებას და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს; იყენებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების შესაბამის თეორიულ ცოდნას და მოქმედებს შესაბამისად; - ითვალისწინებს პერსონალის მოტივაციის, ინდივიდუალური ქცევის, გუნდური მუშაობის, ორგანიზაციული კულტურის ფორმირების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსურ საკითხებს, იყენებს ლიდერისა და მენეჯერის უნარებს.
3.	კურსდამთავრებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კონსოლიდირებით და შესაბამისი მეთოდებისა და რესურსების გამოყენებით აანალიზებს და აფასებს ინფორმაციას/მონაცემებს/სიტუაციას, ადგენს ტექნიკური/პროფესიული/სხვ. პრობლემის გამოწვევებ მიზეზებს და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ახდენს მოსალოდნელი შედეგებისა და შესაძლო რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას, აყალიბებს და ასაბუთებს დასკვნას, ირჩევს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზებს, განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებს და რესურსებს, პასუხისმგებლობას იღებს მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შესრულებულ სამუშაოზე, მათ შორის მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების (გუნდის/ეკიპაჟის წევრების) საქმიანობაზე და მიღებულ შედეგზე. კერძოდ: - გემის ტექნიკური მოწყობილობების საერთო მდგომარეობის შესწავლის და მუშა პარამეტრების კონტროლის მიზნით სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით აგროვებს, აჯგუფებს, სწავლობს და აანალიზებს მონაცემებს და ინფორმაციას, ავლენს და იდენტიფიცირებს უკეთეს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ გაუმართაობებს და დეფექტებს, ადგენს მათი წარმოქმნის მიზეზებს, არჩევს და იყენებს წარმოქმნილი გაუმართაობების შესწავლის მეთოდებს, გაზომვების და დიაგნოსტიკის ხელსაწყოების მეშვეობით აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას/მონაცემებს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით; - აფასებს სხვადასხვა (მათ შორის, საგანგებო, ავარიულ) სიტუაციებში ზემოქმედების ფაქტორებს (მათ შორის, ფიზიკური და ქიმიური პროცესების თავისებურებებს და მექანიკურ და სითბურ პროცესებზე მოქმედ ფაქტორებს), აანალიზებს სიტუაციას, ახდენს მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირებას, არსებული და შესაძლო რისკის განსაზღვრას, აფასებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობას, აყალიბებს და ასაბუთებს დასკვნას; - ადგენს პრობლემის წარმოქმნის შესაძლებლობას, განსაზღვრავს და აფასებს მოსალოდნელ შედეგებს და შესაძლო რისკებს, შეიმუშავებს პრევენციის დასაბუთებულ ზომებს; - აფასებს სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული საინჟინრო-ტექნიკურ ამოცანების სპეციფიკას, აგროვებს, ამუშავებს და აანალიზებს ინფორმაციას/მონაცემებს, ირჩევს და იყენებს დასმული ამოცანის შესაბამის მათემატიკურ აპარატს, ტექნიკურ ნახაზებს/სქემებს/გრაფიკებს, ინსტრუქციებს, სპეციალიზირებულ პროგრამებს და სისტემებს; - აფასებს წარმოქმნილ პრაქტიკულ პრობლემას, აანალიზებს მის სპეციფიკას, წარმოქმნის მიზეზებს და მიმდინარე პროცესებს (მათ შორის, გემის ტექნიკურ მდგომარეობაზე და სვლაზე ფიზიკური და ქიმიური პროცესების, მექანიკურ და სითბურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გავლენას), ადგენს სხვადასხვა ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და აფასებს მათ მნიშვნელობას, პროგნოზირებს შედეგების და აფასებს შესაძლო რისკებს, ადგენს გაუმართაობების აღმოფხვრის/პრობლემის გადაჭრის გზებს, ეტაპებს და საჭირო რესურსებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას; - ადგენს პრობლემის გადაჭრის/სამუშაოს შესრულების ოპტიმალურ გზებს და რესურსებს, განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებს და რესურსებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ღებულობს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, პასუხისმგებლობას იღებს მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების (გუნდის/ეკიპაჟის წევრების) საქმიანობაზე, შესრულებულ სამუშაოზე და მიღებულ შედეგზე.
4.	კურსდამთავრებული აყალიბებს და ასაბუთებს საკუთარ აზრს/პოზიციას, გადასცემს და განმარტავს ინფორმაციას/მონაცემებს, ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, იყენებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) დადგენილ, გემის მექანიკოსის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ სტანდარტულ სასაუბრო ფრაზებს, ინგლისური ენის და რუსული ენის სწორ გრამატიკულ და ლექსიკურ კონსტრუქციებს, იურიდიულ და საზღვაო ტექმინოლოგიას. კერძოდ: - წერილობით და ზეპირი ფორმით ამყარებს კომუნიკაციას, ღებულობს, გადასცემს, განმარტავს და აჯამებს ინფორმაციას/მონაცემებს, აყალიბებს, ასაბუთებს და განმარტავს საკუთარ მოსაზრებებს ინგლისური ენის (C1.2 დონის შესაბამისი) და რუსული ენის (A2 დონის შესაბამისი) გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციების, საზღვაო და იურიდიულ ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით; - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) და გემის მექანიკოსის, მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სტანდარტული სასაუბრო ფრაზების გამოყენებით ამყარებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, წერილობით აწარმოებს დოკუმენტაციას, კითხულობს სპეციალიზირებულ ლიტერატურას, ინსტრუქციებს, დოკუმენტებს, ბრძანებებს, მითითებებს, რეკომენდაციებს და სხვ., იღებს სწორად, უკეთებს ინტერპრეტაციას, განმარტავს, გადასცემს გემის ეკიპაჟის წევრებს, სამაშველო და გადარჩენის ოპერაციებში მონაწილეობისას ამყარებს კონტაქტს და საუბარს წარმართავს რადიოტელეფონით, აღწერს ფაქტებს, მოვლენებს და სიტუაციებს, ღებულობს, გადასცემს და განმარტავს მონაცემებს/ინფორმაციას, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ აყალიბებს წინადადებებს, მოსაზრებებს, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, მოჰყავს არგუმენტები სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად, ამყარებს გემის ეკიპაჟთან კომუნიკაციას, გადასცემს ინფორმაციას როგორც საზღვაო სფეროს სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის.

5.	კურსდამთავრებული იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, ასევე, სპეციალიზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და სისტემებს STCW კოდექსით გათვალისწინებული გემის მექანიკოსის მოვალეობების შესასრულებლად. კერძოდ: • იყენებს სპეციალიზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და სისტემებს STCW კოდექსით გემის მექანიკოსისთვის გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად; • იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს კომუნიკაციის, ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, მიღების და გადაცემის მიზნით; • იყენებს კომპიუტერულ პროგრამებს სამუშაოს შესასრულებლად და კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად, ახდენს ინფორმაციის დამუშავებას, გრაფიკული გამოსახულებების აგებას და სამუშაოს გრაფიკულ უზრუნველყოფას, ამზადებს ანგარიშებს, მუშაობს ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან, ელემენტარულ დონეზე უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას.
6.	კურსდამთავრებული ადგენს პერსონალური და პროფესიული განვითარების საჭიროებას, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ირჩევს და იყენებს მიღწეული კომპეტენციების სრულყოფის გზებს. კერძოდ: • აცნობიერებს წარმატებული პროფესიული (გემის მექანიკოსის) საქმიანობისა და კარიერული წინსვლისთვის ინოვაციების გათვალისწინების, ცოდნის განახლებისა და პროფესიული კომპეტენციების მუდმივი განვითარების აუცილებლობას; • ახდენს თვითშეფასებას, ადგენს პერსონალური და პროფესიული განვითარებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებას, მიმართულებებსა და გზებს; • თვითგანვითარების მიზნით მოიძიებს და მინიმალური დახმარებით იყენებს სხვადასხვა რესურსებს (საინფორმაციო წყაროები, დარგობრივი/სპეციალური ლიტერატურა და სხვ.).
7.	კურსდამთავრებული ითვისებს ინფორმაციას დარგში არსებულ საკანონმდებლო და ეთიკურ ნორმებს, აცნობიერებს გარემოს სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და სხვ. თავისებურებების გათვალისწინებით საქმიანობის განხორციელების, პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელშეწყობის და გუნდური მუშაობის მნიშვნელობას. კერძოდ: • აქვს საზღვაო სფეროში არსებული საკანონმდებლო, ეთიკური და პროფესიონალური ნორმებისა და ტრადიციების ცოდნა; • აქვს გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის უნარი, ადარებს და აპირისპირებს განსხვავებულ მოსაზრებებს, ხედავს განსხვავებებსა და მსგავსებას, ითვისებს ინფორმაციას ადამიანთა ქცევაზე ინდივიდუალური მოტივაციის, პიროვნული თვისებებისა და სამუშაო გარემოში ჩამოყალიბებული ურთიერთობების გავლენას; • ამოიცნობს წარმოქმნილ სოციალურ, პროფესიულ ანდა ეთიკურ პრობლემებს, ადგენს და აანალიზებს კრიზისული/კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევ მიზეზებს, მომხდარ ფაქტებს/მოვლენებს; • ირჩევს და იყენებს ადეკვატურ ხერხებს და ურთიერთობის სწორ ქცევით სტრატეგიებს პრობლემის გადაჭრის/კონფლიქტის მოგვარების/კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და სხვ. გარემოში ადაპტირების მიზნით; • აცნობიერებს პროფესიულ საქმიანობაში მულტიკულტურული გუნდის/გვიპაჟის განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებებისა და თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობას, ეთიკური და სოციალური ნორმების დაცვის მნიშვნელობას.

სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ცოდნის გადაცემის სხვადასხვა მეთოდები (მაგ.: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ.), რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს (მაგ., დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სხვ.), მათი შერჩევა-გამოყენება მიმართულია როგორც სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემაზე, ისე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, პრაქტიკული და სხვა უნარების (მაგ., ცოდნით ოპერირების, ინფორმაციის ანალიზის, მსჯელობის, დასკვნების ჩამოყალიბება-დასაბუთების, დისკუსიის წარმართვის და სხვ.) ჩამოყალიბება-განვითარებაზე. გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი – პროგრამით დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციის ჩამოყალიბებას.
---------------------------	---

სტუდენტის შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, მათი შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს (წილადის სახით მიღებული ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზნსუ-ში სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას.

პროგრამის კომპონენტები		max 100 ქულა	შეფასების ფორმები	
სასწავლო კომპონენტები:	სასწავლო კურსები	100	60	შუალედური შეფასება
	პრაქტიკის კომპონენტი			
	საბაკალავრო ნაშრომი		40	დასკვნითი შეფასება

შეფასებები		max 100 ქულა	
დადებითი შეფასებები			
1	ფრიადი	A	91 ქულა და მეტი
2	ძალიან კარგი	B	81-90 ქულა
3	კარგი	C	71-80 ქულა
4	დამაკმაყოფილებელი	D	61-70 ქულა

					5	საკმარისი	E	51-60 ქულა
					უარყოფითი შეფასებები			
					1	ვერ ჩააბარა	FX	41-50 ქულა
					2	ჩაიჭრა	F	40 და ნაკლები ქულა

Fx შეფასება ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთ-ხელ გასვლის უფლება; Fx შეფასების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში ფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	წინამდებარე პროგრამის კურსდამთავრებულს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.
კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო	- STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გემის ინჟინერ-მექანიკოსის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის და სათანადო მომზადების საფუძველზე კურსდამთავრებულს (გემის ინჟინერ-მექანიკოსს) შეუძლია ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემთის მექანიკოსის მორიგი წოდება და დაიკავოს თანამდებობა გემის სავაზტო მექანიკოსიდან დაწყებული უფროსი მექანიკოსის ჩათვლით. გემის ინჟინერ-მექანიკოსი შეიძლება დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის გემებზე დამხმარე, ექსპლუატაციისა და მართვის დონეზე; - კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საზღვაო ტრანსპორტის ან დარგის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში - საერთაშორისო სანაოსნო და საკრუინგო კომპანიები, გემთსარემონტო და სხვა სარემონტო საწარმოებში, საზღვაო ნავსადგურებში, მექანიკური საამქროები და სხვ. ბნსუ-სთან თანამშრომლობენ სანაოსნო და საკრუინგო კომპანიები “Iberian Navigation Crewing and Manning Agency”, “Geo Bridge k”, “Poseydon”, “Global Marine Company”, “International Maritime Group”, “Baltic Group International”, “Elseri”, “Elvictor Crew Management Service”, “Valmars Georgia”, “Ialkani”, რომლებიც არიან ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები.
პროგრამის მატერიალური რესურსი	„საზღვაო ინჟინერიის“ დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფა: 1. ხელშეკრულების საფუძველზე - სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. 2. ბნსუ-ს საკუთრებაში არსებული ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, მათ შორის: - აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ლინგოფონის, ნავიგაციის, ლოგისტიკის და სხვ. კაბინეტები; - ბიბლიოთეკის წიგნადი (ბეჭდური და ელ. მატარებლებზე) ფონდი, ბიბლიოთეკის ვიდეო- და აუდიო- ფონდები, თვალსაჩინოები, საერთაშორისო Witherbys Library ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა); - ლაბორატორიები: - ქიმიის; - ფიზიკის; - მაღალი ძაბვის ლაბორატორია. - სახელოსნოები: - მექანიკური საამქრო (საზღვაო, სახარატო, საშემდეგებლო); - სამანქანო განყოფილება (გემის დანადგარების დარბაზი: პნევმატიკის, ჰიდრაულიკის, ავტომატიკის, სამაცივრო დანადგარის მოქმედი სტენდები); - ტრენაჟორები: - კოლექტიური სამაშველო საშუალებების ტრენაჟორი; - ხმელეთზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი; - Fire-Fighting Training Facility (სანაპირო ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი); - ტრენაჟორული ცენტრი Navi-Trainer RADAR/ARPA/ECDIS, რომელიც შედგება შემდეგი ტექნიკური საშუალებებისაგან: - Engine Room Simulator (სამანქანო განყოფილების პერსონალის მართვის სიმულატორი); - Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) (სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი);

	• ტრენინგ-ცენტრი: სიმულატორები: ○ Engine Room Simulator 5000 (სამანქანე განყოფილების სიმულატორი); ○ Lifeboat Simulator (სამაშველო ნავის სიმულატორი). - კაბინეტები: ○ Engine Team and Resource Management (სამანქანე განყოფილების გუნდური მართვის/ პერსონალის მართვის კურსის კაბინეტი); ○ Elementary First Aid (პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი); ○ Fire prevention and Fire Fighting (ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი); ○ Personal Safety and social responsibilities (პირადი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი); ○ Personal Survival Techniques (პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი). 3. სასწავლო-საწვრთნელი გეგმა „ელიტა“. 4. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს სტუდენტები გადიან სასწავლო-საწვრთნელ გეგმა „ელიტა“-ზე, საწარმოში - ბნსუ-ს პარტნიორ-დაწესებულებაში და სანაოსნო და საკრუინგო კომპანიების მეშვეობით – საოკეანო გემებზე.
პროგრამის ადამიანური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული გამოცდილება, სპეციალური განათლება/მომზადება და სხვ. პროგრამის დარგობრივი კომპონენტის განმახორციელების კომპეტენციები შეესაბამება „საზღვაო ინჟინერიის“ დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ მოთხოვნებს.